ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6938452

ნომერი: AR11022424

თარიღი : 10.03.2024

გაცემის თარიღი : 19.03.2024

გაცნობის თარიღი : 19.03.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თრიალეთი , N 54 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაირამაშვილი პ/ნ 01024066547
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - პავილიონი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოსადგენია თბილისი ენერჯის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე.

წარმოადგინეთ 01.00.324 კოდით ფიქსირებული ხაზობრივი ნაგებობის სააქციო საზოგადოება სილქნეტის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე.

წარმოადგინეთ 01.01.933 კოდით ფიქსირებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე.

წარმოადგინეთ ელ მომარაგების ძირითადი ქსელის მესაკუთრის სააქციო საზოგადოება "თელასის" თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე

წარმოადგინეთ სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მესაკუთრის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე.

წარმოადგინეთ N01.01.834 კოდით ფიქსირებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა დაგემილ სამუშაოებზე.

წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს. საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: განთავსების სქემა ტაქსაცია და საპროექტო გამწვანება.

წარმოდგენილ იქნას განთავსების სქემა ხე–ნარგავებიდან თავისუფალ ტერიტორიაზე, სადაც დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, საპროექტო ობიექტიდან ხეებთან მიმართებაში დაცულ იქნას 3 მ. ხოლო ბუჩქის შემთხვევაში დაცულ იქნას 1.5 მ. მანძილები. (დაიტანეთ მანძილები საპროექტო შენობა-ნაგებობიდან არსებულ ხე/ნარგავებამდე).

ხე-ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას ტოპო-გეგმა მოსაჭრელი ან გადასარგავი ხე მცენარეების მითითებით დამოწმებული სათანადო წესით უფლებამოსილი ორგანოს/სპეციალისტის მიერ და დენდროლოგიური დასკვნა (არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა) და ტაქსაცია, სადაც მითითებული

იქნება, თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას (ხე-ნარგავები დანომრეთ ტაქსაციის ნუმერაციის შესაბამისად). ასევე აღნშნული უნდა დაიტანოთ სქემაზეც.

წარმოადგინეთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ.
აღნიშნულ ველში განმარტეთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (აღნიშნული ინფორმაცია სავალდებულოა)

წარმოადგინეთ კ1- და კ3 კოეფიციენტის კროკები.

წარმოადგინეთ საპროექტო ობიექტის ესკიზი.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.